პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი № 294 (13379) | სამშაბათი, 14 დეკემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი პაჭაკები

ნიოთელწყაროს რაიონში 11 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 2.581 ტონა ხორცი ნაცვლად 2.363 ტონისა, 6.468 ტონა რძე ნაცვლად 5.920 ტონისა. სახელმწიფოს მიეყიდა 7.455 ათასი ცალი კვერცხი, როცა გეგმა 6.678 ათას ცალს ითვალისწინებდა. გეგმით გათვალისწინებული 451 ტონის ნაცვლად დამზადებულია 453 ტონა მატყელი, 7.123 ტონა მზესუმზირა ნაცვლად 6.310 ტონისა. გადაჭარბებით შესრულდა თივის მიყიდვის დავალება. ამ წარმატებათა შესახებ რედაქციას ატყობინებენ პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი ა. გონაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ე. შანშაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ი. ხუციურაული.

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი. 12 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს: 2.343 ცენტნერი ხორცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.340 ცენტნერისა, 6.717 ცენტნერი რძე ნაცვლად 6.700 ცენტნერისა, 411.500 ცალი კვერცხი, როცა გეგმა 360 ათას ცალს ითვალისწინებდა. კოლმეურნეობებში გაშენდა 24 ჰექტარი ჩაის პლანტაცია ნაცვლად 22 ჰექტარისა. გადაჭარბებით არის შესრულებული ხეხილის გაშენების, ლაო ჩაის დამზადების გეგმები. წარმატებით მიმდინარეობს მრავალწლიანი ნარგავების გაშენება. ამას გვაცნობებენ პარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველი მდივანი რ. კვინტრაძე, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. მამალაძე.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესახვედრად

ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. გოგიჯიშვილი) რაიონში პირველმა შეასრულა თამბაქოს დამზადების გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდა 278 ტონა თამბაქო ნაცვლად 270 ტონისა. გეგმის გადამეტებით კიდევ დამზადდება 40 ტონა თამბაქო.

სახალხო კონტროლი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, შემოწმებისა და კონტროლის საქმეში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის და საკონტროლო ორგანოების მუშაობაში მათი როლის ამაღლების მიზნით დაადგინა გარდაქმნას პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები სახალხო კონტროლის ორგანოებად. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო კონტროლის ორგანოების შესახებ.

1917 წლის 5(18) დეკემბერს, ე. ი. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, შეიქმნა სახელმწიფო კონტროლის კომისარიატის კოლეგია. მას შემდეგ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა განუწყვეტლივ ზრუნავენ კონტროლის სისტემის სრულყოფისათვის, მისი ისეთი ორგანიზაციისათვის, რომელიც უფრო სრულად დაკმაყოფილებდა დროის მოთხოვნებს, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მოცემული ეტაპის ამოცანებს.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონტროლს. ლენინის იდეები ჩვენს ქვეყანაში კონტროლის სწორი ორგანიზაციის საჭიროების შესახებ — საჭიროებისა, რომელიც გამომდინარეობს ახალი საზოგადოებრივი წყობილების თვით საფუძვლებიდან, ღიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია მის მოძღვრებაში კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სახელმწიფოს და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში ხალხის მასების როლის შესახებ.

უზრუნველყოთ უმკაცრესი კონტროლი საზოგადოების მხრივ და სახელმწიფოს მხრივ შრომის ზომასა და მოხმარების ზომაზე, შევამოწმოთ ადამიანები და შევამოწმოთ საქმის ფაქტიური შესრულება — აი რა არის, ლენინის აზრით, კონტროლის მთავარი ამოცანები სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის. ასეთი კონტროლი შეიძლება იყოს მხოლოდ მასობრივი, საყოველთაო-სახალხო. ფართოდ ცნობილია ლენინის მოთხოვნა, რომ „ამბელ მშრომელ მასას, კაცებსაც და ქალებსაც განსაკუთრებით, მონაწილეობა მივაღებინოთ მუშურ-გლეხურ ინსპექციაში“.

ჩვენი პარტია, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა, მთელ თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს ლენინური დებულებებით, იყენებს და ავითარებს მათ კონკრეტული ისტორიული ვითარების ობიექტური პირობების შესაბამისად. სწორედ ლენინურ მითითებათა სრული შესაბამისობით ხორციელდება პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების გარდაქმნა სახალხო კონტროლის ორგანოებად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მაღალი შეფასება მიეცა სამი წლის წინათ შექმნილ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობას. მათ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიისა და თავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად, სოციალისტური ეკონომიკის აღმავლობისათვის, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და კონტროლის საქმეში კომუნისტებისა და უპარტიოების ფართო მასების ჩაბმისათვის ბრძოლაში.

კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებში, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მუშაობენ, დელეგირებული იყო 5 მილიონზე მეტი კაცი. განა ეს იმის მაჩვენებელი არ არის, რომ საბჭოთა კონტროლის სისტემა ნამდვილად დემოკრატიული სისტემაა! პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების გარდაქმნა სახალხო კონტროლის ორგანოებად მიზნად ისახავს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, ახალი სერიოზული ნაბიჯია ამ მიმართულებით.

კონტროლის ორგანოების ახალი სახელწოდება გამოხატავს იმ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს, რომ ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში ყველა უფლება, მათ შორის კონტროლის უფლებაც, ეკუთვნის ხალხს, როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს, რომ კონტროლი საბჭოთა ქვეყანაში სახალხოა. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ოქტომბრის რევოლუციამ გასაქანი მისცა ხალხის ნამდვილ მმართველობას. მასების ცოცხალმა შემოქმედებამ, სოციალისტურმა დემოკრატიამ შეიმუშავა სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ჩაბმის მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების უმდიდრესი არსენალი. მართვის სწავლის სკოლას ათეულ და ათეულ მილიონობით ადამიანი გადის, როცა მუშაობს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციებში, რომელიც მასების ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, საბჭოებში, რომლებშიც შესამებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნიშნები, პროფესიულ კავშირებში, კომკავშირში, კოოპერაციაში, სხვადასხვა ნებაყოფლობითს საზოგადოებაში.

ერთ-ერთი ასეთი სკოლა, სადაც მასები სწავლობენ სახელმწიფოს მართვას, საზოგადოებრივი კონტროლია. აქ არის სახალხო კონტროლის ჯგუფებიც, პროფესიული კავშირების მრავალმილიონიანი საზოგადოებრივი კონტროლიც. „კომკავშირული პროჟექტორის“ რაზმები და შტაბებიც. ასეთი საზოგადოებრივი კონტროლის განვითარებით უაღრესად დაინტერესებულია საბჭოთა სახელმწიფო. კონტროლის ორგანოების გარდაქმნა ნიშნავს კონტროლის გაძლიერებას სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში, მართვის ყველა რგოლში. ბევრად გაიზრდება სახალხო კონტროლიორების — ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანების, სახელმწიფო ინტერესების აქტიური დამცველების, ნაკლოვანებათა წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლების არმია. მათს გამჭრიახ თვალს არ გამოეპარება სახალხო დოვლათის მტაცებელი, ბიუროკრატი, თავდამზღვევი, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის დამრღვევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში მოცემულია სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის მკაფიო და ნათელი მიმართულება. ისინი უნდა იყონ პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება იმისათვის, რომ ხალხის მასები უფრო ფართოდ ჩაბან სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, უზრუნველყონ საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მიერ, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების სისტემატური შემოწმება, განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა და სოციალისტური კანონიერება. „სახალხო კონტროლის ორგანოებმა, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი, წაახალისონ და განავითარონ ყოველივე ახალი, მოწინავე და პროგრესული ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი, მიაღწიონ იმას, რომ უმჯობესდებოდეს საქმის საერთო მდგომარეობა, შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, თვალის ახვევისა და უყაირათობის წინააღმდეგ“.

პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი აშენებს კომუნიზმს, ქმნის მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ეკონომიური განვითარების, მატერიალური სიმდიდრის დაგროვების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხები პარტიის, მთავრობის, მთელი ხალხის ყურადღების ცენტრში დგას. აქედან ცხადია, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების ყურადღება უწინარეს ყოვლისა უნდა მიიპყროს სამეურნეო ცხოვრებამ, ეკონომიკამ, წარმოებისა და განაწილების სფერომ, სახელმწიფო აპარატის საქმიანობამ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“. პარტიისა და მთავრობისათვის დახმარების გაწევა მთელი ძალების მობილიზაციაში მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარების, კაპიტალური მშენებლობის, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესასრულებლად, წარმოების რეზერვების ძიება, ბრძოლა ახალშენებათა საექსპლოატაციოდ დროზე გადაცემისათვის და ახალ სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისებისათვის, სამრეწველო ნაწარმის მაღალი ხარისხისათვის, უმკაცრესი მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის ყველგან და ყველაფერში, ბრძოლა ზედმეტობის წინააღმდეგ მართვის აპარატში, კუთხურობის, თვალისახვევის, უყაირათობის წინააღმდეგ, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ულმობლად აღმოფხვრა — ჭეშმარიტად. რა თვალუწვდენი ასპარეზია სახალხო კონტროლის ძალების გამოსაყენებლად!

იმოქმედებენ რა მათთვის ჩვეული მეთოდებით, სახალხო კონტროლის ორგანოებმა უნდა გვიჩვენონ საქმიანობის, იმის უნარის მაგალითი, თუ როგორ მიიყვანონ ბოლომდე დაწყებული საქმე, უნდა აუცილებლად მიაღწიონ პრაქტიკულ შედეგს თავიანთ მუშაობაში — შედეგს, რომელიც გაიზომება სახელმწიფოსათვის დაზოგილი მანეთებით, ტონობით დაზოგილი სათბობით, შემოწმებით გამოვლინებული ამა თუ იმ ნაკლის აღმოფხვრით, ამა თუ იმ ბიროტმოქმედების აღკვეთით, აპარატში ამა თუ იმ ზედმეტი თანამდებობის შემცირებით, ამა თუ იმ მაღაზიის, სასადილოს. სამრეცხაოს მუშაობის გაუმჯობესებით და სხვ.

კონტროლი მხოლოდ მაშინ ამართლებს თავის დანიშნულებას, როცა იგი, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არა მარტო და არა იმდენად „იჭერს“ და „ამხილებს“, რამდენადაც ასწორებს, აფრთხილებს, როცა იგი ქმედითი, ეფექტიანია, ეხმარება პარტიულ, საბჭოთა ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელობას გააუმჯობესონ საქმის დაყენება კომუნისტური მშენებლობის ამა თუ იმ უბანზე. კონტროლის მასობრიობა, საყოველთაო-სახალხო ხასიათი, უწყვეტობა, ფართო საჯაროობა უზრუნველყოფს მის ქმედითობას.

სახალხო კონტროლის ორგანოები მუშაობენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით. პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად უნდა გაინიხილავდნენ მათს საქმიანობას, ყოველი ღონისძიებით უჭერდნენ მხარს მათს ინიციატივას, თვლიდნენ მათ თავიანთ პირდაპირ თანაშემწეებად, ზრდიდნენ მასობრივ აქტივს, ეწეოდნენ მის აღზრდას, აიარაღებდნენ ცოდნით, გამოცდილებით. ამასთან პარტიულმა კომიტეტებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლის ორგანიზაციისათვის.

უნარიანი პარტიული ხელმძღვანელობა, საქმიანი პარტიული მხარდაჭერა — აი რა არის სახალხო კონტროლის ორგანოების კარგი მუშაობის, მისი დიდი შედეგიანობის მთავარი პირობა.

ПРАВДА

13 დეკემბრის მოწინავე

მომავალი წლის ანგარიშში

რუსთავი. (საკ. კორ.). ერთ თვეზე მეტია, რაც რკინაბეტონის კონსტრუქციების კომბინატი მომავალი წლის ანგარიშში უშვებს მრავალი დასახელების პროდუქციას. აქ ამზადებენ საცხოვრებელი სახლების კედლებს, გადახურვის ფილებს, სატიხრე მასალას, კიბეებს და თითქმის ყველა იმას, რაც საჭიროა მთელი სახლისათვის.

პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი შეჯიბრებების დღეებში აქ საპატიო დაფას მრავალი ახალი სახელი შეემატა. აი ისინიც: ფ. ბუჭური, მ. სალდათოვა, გ. ჩაბანოვა და სხვები. ისინი კომუნისტური შრომის ბრიგადებს ხელმძღვანელობენ და თავდადებული და ენერგიული შრომის შედეგად წარმატებებს წარმატებებზე აღწევენ.

ზეგეგმითი მოგება

სკკპ XXIII და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობებისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებას აღწევს კომუნისტური შრომის საწარმოს — თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი.

იბრძვის რა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, კერამიკოსებმა თერთმეტი თვის საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლების მიხედვით დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 119.600 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მომხმარებელმა დამატებით მიიღო 4.127 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, დიდძალი ფართო მოხმარების საგნები, სამხატვრო ნაწარმი და სხვა პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად მიღებულია 77.867 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. გადაჭარბებით არის განაღდებული პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

კომბინატში დაწინაურდა სამხატვრო საამქრო (უფროსი ე. ბახტაძე), რომლის პროდუქცია ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ამ საამქრომ თერთმეტ თვეში გეგმის გადამეტებით 71.200 მანეთის პროდუქცია მისცა ქვეყანას.

პირველი პროდუქცია

ახალქალაქი. (საკ. კორ.). ახალი მექანიზებული ლუდის ქარხანა, რომელიც სამი თვის წინ ჩადგა მწყობრში, მუშაობის პირველი დღეებიდანვე ჩაება წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებასაც მიაღწია, 6.500 დეკალიტრზე მეტი ლუდი გაუგზავნა ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ასპინძის და ადიგენის რაიონების საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს.

წითელწყაროელ მექანიზატორთა პასუხად

წარმატებით ვიმდინარეობს ტრაქტორების რემონტი სიღნაღის რაიონში.

სურათზე: სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორები ბრიგადირი შალვა ნასიბოვი (მარცხნივ) და მექანიზატორი ტარიელ კვეზილიშვილი, რომლებმაც უკვე დამთავრეს თავიანთი ბრიგადის 7 ტრაქტორის შეკეთება.

ფოტო ს. კილაძისა.

ტექნიკას ამზადებენ

წულუკიძე. (საკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის“ წულუკიძის რაიონული განყოფილების მექანიზატორები სულ უფრო აძლიერებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის ტემპებს. წლიური გეგმით გათვალისწინებული 46 ტრაქტორიდან უკვე შეკეთებულია 43, მათ შორის კაპიტალურად შეკეთეს 14 ტრაქტორი.

მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს ავტომანქანების შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების აღდგენის წლიური დავალება. ამასთან თავიანთი ინიციატივით დაამზადეს 931 მანეთის ღირებულების ახალი დეტალები. სატრაქტორო რაზმმა დღემდე რბილ ხვნაზე გადაყვანილი ათი ათასი ჰექტარი მოხნა და რვა ტონამდე საწვავი დაზოგა.

წითელწყაროელ მექანიზატორთა მოწოდების პასუხად წულუკიძელებმა გადაწყვიტეს ტრაქტორების რემონტის წლიური დავალება 15 დეკემბრისათვის, ხოლო მეოთხე და პირველი კვარტალის გეგმები საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ, საწვავ-სათბობი მასალები დაზოგონ სულ მცირე 5 პროცენტით და ახალი წლის დამდეგიდანვე ყველა ტრაქტორი საგარანტიო ვადით შეაკეთონ.

ეს სამაგალითოა!

ზესტაფონი. (საკ. კორ.) ნაყოფიერად შრომობს „საქსოფლტექნიკის“ ზესტაფონის გაერთიანების კოლექტივი, რომელმაც წელს ნაცვლად 1.002.000 მანეთისა 1.163.000 მანეთის სამუშაო შეასრულა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მექანიზატორებმა. მათ ზესტაფონისა და ორჯონიკიძის რაიონებში მოხნეს 19.342 პირობითი ჰექტარი, რაც გეგმაზე 6.000 ჰექტარით მეტია.

გაერთიანების რვა ტრაქტორი წელს დაეხმარა სიღნაღის რაიონის წნორის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას, სადაც მექანიზატორებმა 3.900 პირობითი ჰექტარი მიწა მოხნეს. ენერგიული შრომისათვის მეურნეობის დირექციამ ზესტაფონელი ტრაქტორისტები უ. დემეტრაძე, ს. ნებიერიძე, ბ. გეწაძე და სხვები მაჯის საათებით დაჯილდოვა.

ზესტაფონელი მექანიზატორები მხურვალედ უპერდნენ მხარს წითელწყაროელ თანამოსაქმეებს და ვალდებულება იკისრეს ტრაქტორების რემონტის მეოთხე და პირველი კვარტალების გეგმები შეასრულონ საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის, მომავალ წელს ნაცვლად 16.000 ჰექტარისა მოხნან 22.000 ჰექტარი, იბრძოლონ მიწათმოქმედების მაღალი კულტურისათვის.

ვადაზე ადრე

„საქსოფლტექნიკის“ მახარაძის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებმა საქმიანად გაინიხილეს წითელწყაროელ მექანიზატორთა მიმართვა, მხურვალედ მოიწონეს იგი და მხარი დაუჭირეს მას.

განყოფილებამ საქონელბრუნვის წლიური გეგმა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულა. განყოფილების მექანიზატორებმა და მუშა-მოსამსახურეებმა წითელწყაროელ მექანიზატორთა პასუხად ვალდებულება იკისრეს 1 იანვრამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 70 ათასი მანეთის პროდუქცია. ტრაქტორების და სხვა იარაღ-მანქანების რემონტის პირველი კვარტალის გეგმების 10 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულებენ 1 მარტისათვის.

შ. ბანუელაძე,
„საქსოფლტექნიკის“ მახარაძის განყოფილების მმართველი.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნები

12 დეკემბერს შვიდ მოკავშირე რესპუბლიკაში — უკრაინაში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანში, მოლდავეთში, ლატვიაში, ყირგიზეთსა და თურქმენეთში მშრომელები არჩევდნენ სახალხო მოსამართლეებს. არჩევნები ყველგან ერთსულოვნად და ორგანიზებულად, დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

მშრომელებს სწამთ, რომ მათი რჩეულნი ფხიზლად დაიცავენ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებს, მედგრად იდგებიან სოციალისტური კანონიერების საგუშაგოზე. ბევრმა ამომრჩეველმა ჯერ კიდევ შუადღემდე მისცა ხმა.

სახალხო მოსამართლეების კანდიდატთა შორის არიან ისინიც, ვინც სასამართლო ორგანოებში მრავალი წლის მუშაობით დიდი პატივისცემა მოიხვეჭა, და ისინიც, ვინც ახლა უნდა დაიწყოს შრომა ამ სარბიელზე.

უფროსი თაობის იურისტების წარმომადგენლებთან ერთად კენჭი იყარეს ახალგაზრდა სპეციალისტებმაც. ამ სპეციალისტებმა მოიპოვეს მოქალაქეთა პატივისცემა კანონების ზუსტი დაცვით, იმ მშრომელებისადმი გულისხმიერი მოპყრობით, რომელთა ბედი უნდა გადაეწყვიტათ.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მოსამართლეების არჩევნები გაიმართება შემდეგ კვირას — 19 დეკემბერს. (საკ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ დეპუტატ დ. გელაშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1966 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებისა და საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა.

კომისიაზე მოსმენილი იქნა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. დ. კეშელავას და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. ტრაპაიძის მოხსენებანი.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჭილიამ, კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. პაატაშვილმა, განათლების მინისტრის მოადგილემ უ. ობოლაძემ, ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ო. იოსელიანმა, კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. იაქობაშვილმა, აფხაზეთის სსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ჯიქონიამ, საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბიბილაშვილმა, გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ნასარაძემ, მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა, წალენჯიხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კვარაცხელიამ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ კ. სოხაძემ, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ი. ლოხვმა, ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. გობრონიძემ და სხვებმა.

საბიუჯეტო კომისიამ გამოყო დაბეჭდვით შემოსავლების გამოვლინებისა და გამოვლინებული თანხების განმანაწილებელი ქვეკომისიები.

საბიუჯეტო კომისია მუშაობას განაგრძობს.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზ. კვაჭაძე.

ჩვენი ინფორმაციის ასს

რესპუბლიკის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს ახალი ბალვენახების გაშენება. ასეა ცხინვალის რაიონშიც.

სურათზე: ხილის ახალი ბაღის გაშენება ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში. (წინა პლანზე) მეორე ბრიგადის ბრიგადირი ვ. ბორცვაძე (მარჯვნივ) და მებაღე რ. ქრისტესაშვილი ამოწმებენ ნერგების ხარისხს.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასს რესპუბლიკის დაჯილდოება ლენინის ორდენით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვა **ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.** (საკ.).

თვალსაჩინო მეცნიერთა სახელოგის პრემიეგი

მოსკოვი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1965 წლის ი. მ. გუბკინის სახელობის პრემია მიანიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს ს. ვ. მაქსიმოვს ნაშრომისათვის „პალეზოურ ნალექებში ნავთობისა და გაზის საბადოების გენეზისა და ფორმირების პიროობების კანონზომიერებანი“. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს ნაშრომი დიდი წვლილია გეოლოგიის, ნავთობისა და გაზის განვითარებაში.

მეცნიერულ წრეებში მაღალ შეფასებას აძლევენ ფიზიკა-მათემატიკურის მეცნიერებათა დოქტორის ს. ა. ქვიკინი-თავის ნაშრომებსაც, რომელსაც მიანიჭეს ფ. ა. ბრუდერბინის სახელობის პრემია. ს. ა. ქვიკინი-თავის ნაშრომებში ხსნის ცვალებად გარსცვლადთა მთელ რიგ თვისებებს, რაც დიდი ხნის მანძილზე საიდუმლოებით იყო მოცული.

ПРАВДА

13 დეკემბრის მოწინავე

მოსკოვში ჩამოვიდა ჰუარი ბუმედიენი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 13 დეკემბერს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ რევოლუციური საბჭოს წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელაზიზ ბუტეფლიკა, რევოლუციური საბჭოს წევრები მოჰამედ ტაიბი ლარბი, მულიაი აბდელკადერი შაბუ და აბდალა ბელხუშეტი; სახელმწიფო მინისტრი რაბაჰ ბიტათი, მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ბელაიდ აბდესლამი, ეროვნული განათლების მინისტრი აჰმედ თალები, შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი აბდელაზიზ ზერდანი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი დიდ ბრიტანეთში მოჰამედ ბენიაჰია, აგრეთვე მრჩეველთა ჯგუფი.

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვხუკოვის აეროდრომზე საპატიო სტუმრებსა და მის თანმგზავრებს შეხვდნენ ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები რ. ი. მალინოვსკი, ნ. ს. პატოლიჩევი და სხვა ოფიციალური პირები.

დამხვდურთა შორის იყვნენ ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ომარ უსედიკი, სსრ კავშირში აკრედიტებული სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. ალჟირის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები, ალჟირელი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ.

თვითმფრინავი დაეშვა და მივიდა შეხვედრის ადგილას. თვითმფრინავიდან ჩამოვიდნენ ჰუარი ბუმედიენი დამიხი თანმხლები პირნი.

მოსწავლეებმა ყვავილები მიართვეს სტუმრებს. ჰუარი ბუმედიენი მიესალმა საბჭოთა ხელმძღვანელებს. საპატიო ყარაულის უფროსმა უპატაჟა. შესრულდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ჰუარი ბუმედიენმა და ნ. ვ. პოდგორნიმ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწკრივს. საპატიო სტუმარი ჟიესალმა მათ. შემდეგ ჩამოსულნი შევიდნენ აეროვოგზლის შენობაში, სადაც მათ მიესალმნენ მშრომელთა წარმომადგენლები. ჰუარი ბუმედიენი მიესალმა სსრ კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებსა და უცხოელ დიპლომატებს.

აეროდრომიდან სტუმრები წავიდნენ ქალაქში. ქუჩები და პროსპექტები, რომლებითაც მიდიოდნენ მანქანები მოტოციკლების ესკორტის თანხლებით, მორთული იყო ორივე ქვეყნის სახელმწიფო ალმებით და მისასალმებელი ტრანსპარანტებით.

ამავე თვითმფრინავით მოსკოვში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნ. მ. პეგოვი და ალჟირელ ჟურნალისტთა ჯგუფი. (საკ.).

ჰუარი ბუმედიენი ეწვია ნ. ვ. პოდგორნის

მოსკოვი, 13 დეკემბერი. (საკ.) დღეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნინს.

შეხვედრის დროს ნ. ვ. პოდგორნისა და ჰუარი ბუმედიენს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულახდილ ვითარებაში ჩაიარა.

ჰუარი ბუმედიენი ეწვია ა. ნ. კოსიგინს

13 დეკემბერს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე

ეკონომიკის განვითარებაზე ფიქრით

ბაკურიანი ცხოვრობს

მაიაკოვსკი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). თვითანთ ჟეულაზე საუკეთესო წარმომადგენლები, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები გამოეზავნეს კონფერენციის დელეგატებად მაიაკოვსკის რაიონის პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ერთი სასოფლო-სამეურნეო წელი რა არის, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთშიც კი სოფლის მეურნეობის უკლებლივ ყველა დარგზე მთელი ძალით ჩინა თავი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა კეთილსაყოფიერმა გავლენამ.

ამას დამაჯერებლად მოწმობს თუნდაც მაიაკოვსკის რაიონის მაგალითი. იმ დახმარებამ, რასაც პარტია უწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესახვიდი ფასების გაზრდამ შესაძლებელი გახადა ის, რომ რაიონის მევენახეებს მაღალი მოსავალი მიეღოთ და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ შარშანდელზე 1.900 ტონით მეტი ყურძენი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სიმინდის მოსავლიანობის, აბრეშუმის პარკის დამზადების დავალებები. წინ წამოწია წინათ ჩამორჩენილმა საზოგადოებრივმა მეცხოველეობამაც. გადამეტებით შესრულდა პირუტყვის სულადობის, ფველადობის, აგრეთვე სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური დავალებები.

მომხსენებელმა, პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. აბესაძემ იმის კონკრეტული მაგალითები მოიყვანა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებას, მეურნეობის გონივრულ გაძღოლას.

— პარტიის რაიკომმა, — თქვა მომხსენებელმა, — დეტალურად შეიხედა ჩვენს მდგომარეობა თვითეულ მეურნეობაში და პლენუმზე სპეციალურად იმსჯელა შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, კოლმეურნეობათა ეკონომიკის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე.

როგორც მოხსენებაში, ისე დელეგატთა გამოსვლებში თავისი ასახვა ჰპოვა ზრუნვამ წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედებისათვის.

რაიონში საზოგადოებრივი მეურნეობის წამყვან დარგს მევენახეობა წარმოადგენს. და ბუნებრივია, კონფერენციის მონაწილეები გვერდს ვერ აუვლიდნენ ამ საარსებო საკითხზე საუბარს.

დელეგატებმა ანალიზი გაუკეთეს მევენახეობის ახლანდელ მდგომარეობას, წამოაყენეს საქმიანი წინადადებები ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი აღმავლობისათვის.

აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი ზვრები ჯერ კიდევ დაბალ მოსავალს იძლევა, ყურძნის საერთო წარმოებაში მნიშვნელოვნად სჭარბობს საკარმიდამო ნაკვეთების ხვედრითი წილი, ზვრებში დიდია სიმეჩხერე. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად არის საქმე ობჩის ლენინისა და მარქსის სახელობის, დიმის სვერდლოვის, წითელხევის ფრუნზეს, როინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

და შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ კოლმეურნეობებში, რაიონის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, ყურძნის გაცილებით დაბალი მოსავალი მიიღეს.

მომავალი წლისათვის საქმეს გაცილებით კარგი პირი უჩანს. მაიაკოვსკელები ამ დღეებში მთლიანად დაამთავრებენ 160 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენებას და ამით წლიურ დავალებას ათი ჰექტარით გადაამეტებენ. ამასთან საგულისხმოა, რომ პირველად რაიონის კოლმეურნეობებში ახალ ზვრებს მთლიანად საკუთარი წარმოების ნამყენი ნერგით გაშენებენ.

— ჩვენი კოლმეურნეობა, — თქვა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. კიკნაველიძემ, — წარმატებებით ამთავრებს სამეურნეო წელს. ყოველ ჰექტარზე 63 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ, რითაც მოსავლიანობის დავალება 112 პროცენტით შევასრულეთ. მარტო შესასყიდი ფასების მომატებით კოლმეურნეობამ დამატებით მიიღო 36.000 მანეთი.

საკოლმეურნეო წარმოების ამ ორგანიზატორმა კონფერენციას საქმის ცოდნით მოუთხრო იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მეურნეობის ახლებურად გაძღოლისათვის ხორციელდება. წარმატების საფუძვლად იქცა შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვა, რასაც შედეგად მოჰყვა შრომითი და მატერიალური სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. 1963 წელთან შედარებით 1965 წელს ცენტნერი ყურძნის წარმოება დაჯდა 6 მანეთით ნაკლები, ხორცისა — 61 მანეთით, ხოლო რძისა — 12 მანეთით ნაკლები.

— ეკონომიკის განმტკიცებას, — თქვა რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. კვირიკაშვილმა, — დიდად შეუწყობს ხელს ჩაის, დაფნის, ხეხილისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების გაშენება, რასაც ამ უკანასკნელად მოჰკიდა ხელი ზოგიერთმა კოლმეურნეობამ. მანვე მოუთითა ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურების დიდ ეკონომიურ სარგებლიანობაზე და მოითხოვა ყველგან დაუჭირონ მხარი დაბა მაიაკოვსკის, წითელხევისა და რობის კოლმეურნეობების ინიციატივას. წელს დაბის კოლმეურნეობამ პირველად მოჰკიდა ხელი მებოსტნეობას და მარტო ამ დარგიდან 16 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო.

წითელხევის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ო. ფაიქიძემ და რობის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგემ ი. ჯანელიძემ კონფერენციას მოუთხრეს იმაზე, თუ რა გაკეთდა პრაქტიკულად და რის გაკეთებას ფიქრობენ მომავალ წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა შესასრულებლად.

თითქმის ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ „საქსოფლტექნიკის“ მაიაკოვსკის განყოფილების სახელოსნოში ერთობ აჭიანურებენ და უხარისხოდ აწარმოებენ ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის რემონტს. ამას ემატება სათადარიგო ნაწილების უქონლობა. სახელოსნოში ნახევარი წელია რემონტს ელოდება დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორი. აქვე დგას ვარციხის საბჭოთა მეურნეობის „ტ-50-დ“ მარკის 1964 წელს გამოშვებული ტრაქტორი, რომელსაც დღემდე ვერაფერი მოუხერხეს.

საქმე ის არის, რომ სათანადო ქარხანამ მომდინარე წლიდან ახალი მოდიფიკაციის ტრაქტორები გამოუშვა, რომელთა ღერძები შარშანდელი გამოშვების ღერძებს არ შეეხამება.

კადრებთან მუშაობის, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის, სოციალისტური მართლწესრიგის, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის, მშრომელთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების შესახებ გაამახვილეს ყურადღება დელეგატებმა შ. ჯოგლიძემ, ა. ფულარიანმა, ვ. გიორგობიანმა, ჯ. ეგეგაშიძემ, ია. ბოგატიშვილმა, შ. ყორეულიანმა და ლ. კოტრიკაძემ.

ისიც უნდა დავძინოთ, რომ დელეგატთა გამოსვლებში საერთოდ გვერდი ჰქონდა ავლილი სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საკითხებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ ბრძოლა და რძის მრეწველობის მინისტრმა პ. ხუროძემ.

* * *

გაიმართა ახალარჩეული რაიონული პარტიული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კპ მაიაკოვსკის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია პ. აბესაძე, მეორე მდივნად — რ. ძარჩხაძე.

„კომუნისტს“ ატყობინებენ

ბაკურიანი — ფოთი

ბაკურიანში ელექტროგადამცემთა შეფერხების გამო ფოთში წერილი, რომელიც გაგზავნილ „კომუნისტში“ დაბეჭდეს, ჩამოსვლ „ფოთის ელექტრონული“ ავტომორბილის სამინისტროს რესპუბლიკური რადიოცენტრიდან რედაქციას სწერენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებულია ზომები რეგულარული ტელეგადაცემების მოსაწყობად. ჩიათურის არხისათვის საკონტროლო ტელევიზორი დამონტაჟეს.

„ჰესის გვერდით სიგნალებში“

სოფელ სურმუშის კოლმეურნეობაში ელექტროგანათების მოუწესრიგებლობის გამო ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი „ჰესის გვერდით სიბნელეში“. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცაგერის რაიკომის მდივანი პ. სილაგაძე რედაქციას ატყობინებს:

„კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი სინამდვილეს შეეფერება.

ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია, ელექტრონსაზები შეკეთდა, სოფელი რეგულარულად იღებს ელექტროდენს. სოფლის ერთი უბნის ელექტროფიკაციის საკითხი უახლოეს კერიოდში გადაწყდება.

„ კინო მოგვენატრა“

კინომომსახურების ნაკლოვანებებზე იყო ლაპარაკი „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „კინო მოგვენატრა“. ამის გამო ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. დურგლიშვილი რედაქციას სწერს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება. რაისაბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორებულია. სოფელ თოხთის უბნის მცხოვრებლებს რეგულარულად უჩვენებენ კინოსურათებს.

უკვე ოთხი წელია კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდებას ატარებს ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ სამრეწველო მშენებლობის სამმართველოს მშენებელთა კოლექტივი, რომელსაც ვასილ დვალი ხელმძღვანელობს. ახლა მშენებელთა კოლექტივი წარმატებით შრომობს საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობაზე.

სურათზე: კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. დვალი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქლესის ფოტოქრონიკა).

სკკპ წევრობის კანდიდატთა შესახებ

1.

როგორ უნდა გვესმოდეს წესდების დებულება იმის შესახებ, რომ „პარტიული ორგანიზაცია უნდა დაეხმაროს კანდიდატს სკკპ წევრად შესვლისათვის მომზადებაში?“ — გვთხოვს განმარტებას ამხ. ანდრეევი (მოსკოვი).

პარტიის წევრად გახდომაზე, რა თქმა უნდა, უფროსია ყოვლისა თვითონ კანდიდატი უნდა ზრუნავდეს. მაგრამ პარტიული ორგანიზაციის როლი არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს კანდიდატისათვის საკანდიდატო ბარათის ჩაბარებით. პირიქით, ამის შემდეგ ძლიერდება მთლიანად ორგანიზაციის პასუხისმგებლობაც იმისათვის, თუ როგორ ემზადება ადამიანი პარტიის წევრის მაღალ და რთულ მოვალეობათა შესასრულებლად. პარტიული ორგანიზაცია ეხმარება კანდიდატებს პარტიის წევრად შესვლისათვის მომზადებაში, ამოწმებს მათს პოლიტიკურ საქმიან და პირად თვისებებს.

ასეთი დახმარების ფორმები სხვადასხვაგვარია. ეს არის ზეპირი წარმოებაში ავანგარდული როლისა და იდეური ზრდისათვის, სკკპ პროგრამისა და წესდების უფრო ღრმად შესწავლისათვის; კანდიდატის აქტიური მიზიდვაც საზოგადოებრივ მუშაობაში, თავისი პარტორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად; მათთან შეხვედრები და სხვადასხვა საკითხებზე საუბრები. რაც უფრო მეტს მუშაობენ კანდიდატებთან, მით უფრო ფესვმჩენელია მათი ზრდა, მით უფრო წარმატებით გადიან ისინი საკანდიდატო სტაჟს. ამასთანავე ასეთი მუშაობა შესაძლებლობას აძლევს პარტორგანიზაციას განახორციელოს კანდიდატთა ყოველმხრივი შიმოწმებაც, შემდეგ უფრო სწორად გადაჭრას პარტიის წევრებად მათი მიღების საკითხიც.

2.

როგორ მოვექცეთ იმ კანდიდატებს, რომლებსაც საკანდიდატო სტაჟი გაუვიდათ, მაგრამ მოცემულ პარტორგანიზაციაში აღრიცხვაზე არიან წელიწადზე ნაკლები ხნის განმავლობაში? — თხოულობს განმარტებას სკკპ წევრი ამხ. პანტინი (ქ. კრასნოიარსკი).

ამ შემთხვევაში რაღაც ერთნაირი მდგომარეობა არ შეიძლება იყოს. პარტორგანიზაციამ უწინარეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს, რით არის გამოწვეული ასეთი გარემოება — კომუნისტს პირადად მიუძღვის ამაში ბრალი თუ ეს გამოწვეულია სხვა მიზეზებით, შეუძლია თუ არა კომუნისტს მიიღოს რეკომენდაციები მუშაობის წინანდელი ადგილის მიხედვით და, თუ საჭიროა, დაეხმაროს ამაში. თუ სტაჟი ვადაგადაცილებულია საპატიო მიზეზებით, ხოლო პარტიის კანდიდატმა დადებითად გამოიჩინა თავი, კანდიდატობიდან მისი გასვლის საკითხის დაყენებას საფუძველი არა აქვს. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია მოცდა, მოცემული პარტორგანიზაციის კომუნისტებს, წესდების მოთხოვნათა თანახმად, როდის ექნებათ შესაძლებლობა მისცენ მას რეკომენდაციები, რის შემდეგაც განხილულ იქნას მისი განცხადება სკკპ წევრად მიღების შესახებ.

პრაქტიკაში ხშირად ასეც ხდება. სკკპ წევრობის კანდიდატი დემობილიზაციით განთავისუფლდა საბჭოთა არმიიდან. თუ იგი სტაჟის გასვლის შემდეგ წარადგენს სამხედრო ნაწილის სკკპ წევრების რეკომენდაციებს, დამოწმებულს შეესაბამისი პოლიტგანყოფილების მიერ, პარტორგანიზაციას უფლება აქვს განიხილოს სკკპ წევრად მისი მიღების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი ამ საწარმოში წელიწადზე ნაკლებ ხანს მუშაობს. თუ კანდიდატი მივიდა საწარმოში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში, სადაც მანამდე რამდენიმე წელს მუშაობდა, კომუნისტებს, რომლებიც მას ერთად მუშაობით იცნობდნენ არმიაში წასვლამდე, შეუძლიათ მისცენ რეკომენდაცია მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნების შემდეგ მასთან ერთად ისინი წელიწადზე ნაკლებ ხანს მუშაობენ. საჭიროების შემთხვევაში პარტორგანიზაციას შეუძლია გამრითხოვოს ამ კანდიდატის დახასიათება სამსახურის, მუშაობის წინანდელი ადგილიდან.

3.

როგორ უნდა გადაწყდეს პარტიის წევრობის იმ კანდიდატების საკითხი, რომლებმაც ჩაიდინეს კომუნისტის წოდების შემბღალავი საქციელი? — გვთხოვს განმარტებას ამხ. ზუბარევი ქალაქ ულან-უდედან.

ასეთი კანდიდატების საკითხს პირველადი პარტორგანიზაცია განიხილავს და წყვეტს სკკპ წესდების მე-9 და მე-10 პარაგრაფების შესაბამისად. თუ კანდიდატმა ჩაიდინა საქციელი, რომელიც ეფუძვნებოდა კომუნისტის მაღალ წოდებასთან, პარტიულ ორგანიზაციას უფლება აქვს გარიცხოს იგი პარტიიდან. თავისთავად იგულისხმება, რომ პარტიიდან გარიცხვის საკითხის გადაწყვეტისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმის გულდასმით გარჩევა, თუ რამდენად დასაბუთებულია წაყენებული ბრალდებანი. პირველადი პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილება პარტიიდან გარიცხვის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას ხმა მისცა პარტიის ამ წევრთა სულ მცირე ორმა მესამედმა, რომლებიც კრებას დაესწრნენ. გადაწყვეტილებას ამტკიცებს პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტი და იგი ძალაში შედის მხოლოდ მაშინ, როცა მას საოლქო, სამხარეო კომიტეტი ან მოკავშირე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებს.

პარტიის კანდიდატს, რომელსაც პარტიული სასჯელი აქვს დადებული, პარტორგანიზაცია პარტიის წევრად მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომუნისტები დარწმუნდებიან, რომ კანდიდატმა გამოასწორა შეცდომები, რომლებისთვისაც დასჯილი იყო. ასეთ შემთხვევებში პარტორგანიზაცია ჯერ მოხსნის პარტიულ სასჯელს, შემდეგ კი განიხილავს საკითხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიღების შესახებ. თუ საკანდიდატო სტაჟი გავიდა, ხოლო პარტიულ ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სასჯელის მოხსნა ჯერ კიდევ ადრეა, საჭიროა ერთხანს დაცდა.

4.

როგორია იმ კანდიდატების მიღების წესი, რომლებსაც პარტიულ სასჯელად დაედოთ პარტიის წევრობიდან კანდიდატად გადაყვანა? — გვეკითხება ამხ. დუღანი (ქ. ულიანოვსკი).

სკკპ წესდებით (პარაგრაფი 9) გათვალისწინებულია, რომ საწესდებო მოვალეობათა შეუსრულებლობისა და სხვა დანაშაულისათვის პირველად პარტიულ ორგანიზაციას საჭირო შემთხვევებში შეუძლია პარტიულ სასჯელად დაადოს პარტიის წევრს კანდიდატად გადაყვანა ერთ წლამდე ვადით. პარტორგანიზაციის ასეთი გადწყვეტილებანი პარტიის რაიონულმა ან საქალაქო კომიტეტმა უნდა დაამტკიცოს. ზემდგომი პარტიული კომიტეტები მათ არ განიხილავენ. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ კანდიდატად გადაყვანილს სკკპ წევრად მიიღებენ საერთო საფუძვლებზე, და მას ეტოვება წინანდელი პარტიული სტაჟი, მაგრამ შეწყვეტა აღენიშნება პარტბილეთში, სააღრიცხვო, საანგარიშო ბარათებში და სარეგისტრაციო ბლანკში.

იმ შემთხვევებში, როცა პარტიის წევრობიდან გადაყვანილ კანდიდატს მისთვის მიცემული ვადის განმავლობაში არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ არც თავი გამოუჩენია, არ უჩვენებია, რომ პარტიის წევრად ყოფნის ღირსია, მის საკითხს განიხილავენ და გადაწყვეტენ წესდების მე-16 პარაგრაფის და არა მე-9 და მე-10 პარაგრაფების შესაბამისად, როგორც ამას პარტიის ზოგიერთი რაიკომი აკეთებს.

5.

როგორ განიხილავენ იმ კანდიდატთა საკითხებს, რომლებსაც სამი თვის და მეტი ხნის განმავლობაში არ გადაუხდიათ საწევრო შესატანი საპატიო მიზეზების უქონლად? — გვეკითხება სკკპ წევრი ამხ. გრიგორიევი (ქ. ტამბოვი).

წესდების მე-8 პარაგრაფში ნათქვამია, რომ საკითხი პარტიის იმ წევრის ან კანდიდატის შესახებ, რომელსაც სამი თვის განმავლობაში არ გადაუხდია საწევრო შესატანი საპატიო მიზეზების უქონლად, პარტორგანიზაციამ უნდა განიხილოს. თუ ამასთან გამოირკვევა, რომ კომუნისტს ფაქტიურად დაუკარგავს კავშირი პარტორგანიზაციასთან, ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს გადწყვეტილება **პარტიიდან** მისი გასვლის შესახებ და თავისი დადგენილება შეაქვს პარტიის რაიონული ან საქალაქო კომიტეტის დასამტკიცებლად.

უნდა განვასხვაოთ პარტიიდან გასვლა სკკპ წესდების მე-8 პარაგრაფისა და მე-16 პარაგრაფის თანახმად. თუმცა სასჯელის ზომები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნულ პარაგრაფებში, კანდიდატებისათვის ერთნაირია, მაგრამ ეს სასჯელი გამოაქვთ პრინციპულად განსხვავებულ დანაშაულთათვის. პირველ შემთხვევაში კანდიდატმა დაარღვია პარტიული წესრიგი, დისციპლინა, ორგანიზაციასთან კავშირი დაკარგა, მეორე შემთხვევაში კი — მას არაფრით არ შეუბღალავს თავისი თავი, მაგრამ პირადი თვისებების გამო მომზადებული ვერ აღმოჩნდა სკკპ წევრის მაღალ მოვალეობათა შესასრულებლად.

გადაწყვეტილებას პარტიიდან წევრის გასვლის შესახებ იღებენ პარტიის იმ წევრების ხმის უბრალო უმრავლესობით, რომლებიც პარტიულ კრებას ესწრებიან.

ეკონომიკა

ეკონომიკის განვითარებაზე ფიქრით

ეკონომიკის განვითარებაზე ფიქრით

ეკონომიკის განვითარებაზე ფიქრით

ეკონომიკის

ეკონომიკის

**ეკონომიკის

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲒᲝᲫᲐᲜᲔ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთი ბმა შეუერთეს მთელი პროგრესული კაცობრიობის მტკიცე პროტესტს ომის გამო, რომ ამერიკელი აგრესორები სამხედრო ავანტიურებს ახორციელებენ ვიეტნამში.

— ამერიკელ ვაი-მეომართა ბარბაროსული მოქმედებაა ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, — განაცხადა პარტიული კომიტეტის მდივანმა უ. დათუნაშვილმა, — თითოეული პატიოსანი ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. სამარცხვინო მობეზე ვაკრავთ იმათ, ვინც დაარღვია ვიეტნამელთა შემოქმედებითი შრომა და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებს მასობრივი მოსპობის იარაღს.

— სიბეჭოთა ხალხი, — თქვა მრთველმა ვ. ეგოროვამ, — ერთსულოვნად უჭერს მხარს ვიეტნამის თავისუფლებისმოყვარე ხალხს, თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის მის სამართლიან ბრძოლაში. მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

— კეთილი ნების ადამიანები, — თქვა მუშამ მ. შუტკერაშვილმა, — არ დაუშვებენ, რომ იმპერიალისტებმა ახალი მსოფლიო ომი გააჩაღონ. ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ვერავითარ მეკობრულ მოქმედებას წარმატება არ ექნება იქ, სადაც ხალხი ნათელ მომავალს აშენებს.

მიტინგზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია მტკიცე პროტესტი პენტაგონის სამხედრო ავანტიურათა წინააღმდეგ ვიეტნამში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფიზიკურტურის ინსტიტუტში გაიმართა სპორტსტუდენტა მიტინგი ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ. რისხვითა და გულისწყრომით ლაპარაკობდნენ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აფა-რთოებენ ავანტიურას თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

— მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა, — განაცხადა სათხილამურო სპორტის კათედრის გამგე დოცენტმა ა. ბალაევიჩმა, — აღშფოთებულია ამერიკის მხედრიონის აგრესიული მოქმედებით ინდოჩინეთში, სადაც დღითი დღე იზრდება გამყოფელ ოკეანეისგაღმელ ვაიმეომართა რიცხვი. მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების მხეცური დაბომბვით ბატონი იმპერიალისტები ვერ დააჩოქებენ თავისუფლებისმოყვარე ვიეტნამელ ხალხს. აგრესორთა დანაშაულებრივ გეგმებს განხორციელება არ უწერია!

ვიეტნამელი ხალხისადმი სიბეჭოთა ადამიანების სოლიდარობაზე ილაპარაკეს ინსტიტუტის პარტიიროს მდივანმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჯორჯაძემ, ანატომიის კათედრის დოცენტმა გ. დოლიძემ, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის პროფესორმა მასწავლებელმა ი. მამულაშვილმა და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც მრისხანე პროტესტს აცხადებენ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვენ, რომ ვიეტნამის მრავალტანჯული მიწა-წყლიდან გაიყვანონ ამერიკის მთელი ჯარები. (საქდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ

ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲮᲛᲐ

ᲑᲝᲜᲘ, 11 დეკემბერი. (საკდესი). იმ პროპაგანდისტული ხმაურის ფონზე, რომელიც დასავლეთ გერმანიის პრესაში ატყდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ა. ა. გრომიკოს მოხსენების გამო, გაისმის გონივრული ხმებიც. დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტებმა ეს ფედერსენმა გაზეთ „ნოიე რეინ-�აიტუნგში“ მოათავსა სტატია, რომელშიც ხაზს უსვამს: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ბონის პოლიტიკის გაკრიტიკებას დამაჯერებელი საფუძველი აქვს.

„ ბონი, — წერს სტატიის ავტორი, — ახლა წინანდელზე კიდევ უფრო ნაკლებად იჩენს კეთილ განზრახვას მოიპოვოს აღმოსავლეთის ნდობა. ვისღა გაკვირვებს ის, რომ მოსკოვი აშკარად უფრო მკვახე ტონით ლაპარაკობს? ვიეტნამისა და ატომის პრობლემებს რაც შეეხება, ამ საქმეში ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ერთგზის ადგანან.

ეხება რა ფედერალური მთავრობის განცხადებას, რომელიც უხეში ფორმით ესხმის თავს საბჭოთა კავშირს ა. ა. გრომიკოს გამოსვლასთან დაკავშირებით, ფედერსენი ხაზს უსვამს, რომ ეს განცხადება არ არის ნაკარნახევი გონივრული მოსაზრებებით. მას შეუძლია დააჯეროს მხოლოდ ისინი, წერს ჟურნალისტი, ვისაც მიაჩნია, რომ პოლემიკა პოლიტიკის შემცვლელია.

დასასრულ ფედერსენი აფრთხილებს ბონს:

„თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მართლაც დაუთმეს ბონის მოთხოვნებს ატომის დარგში, მოსკოვიდან მომავალი ცივი ქარი შეიძლება გრიგალად გადაიქცეს“. სტატიის ავტორი, რომელსაც ხმედველობაში აქვს კანცლერ ერჰარდის მომავალი გამგზავრება ვაშინგტონში, ხაზს უსვამს: „ლუდვიგ ერჰარდს ეძლევა კარგი შესაძლებლობა შეიტანოს გერმანიის წვლილი დაძაბულობის შენელების საქმეში — ხელი აიღოს ატომურ თამაშში ყოველი ფორმით მონაწილეობაზე“.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმზე რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ ჩამოიყალიბა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ორიენტაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი, ხოლო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იონ ვეორეგ მაურერმა წარმოადგინა რუმინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმის პროექტი.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საკითხების განხილვისას პლენუმმა აღნიშნა, რომ სახალხო ხელისუფლების წლებში განუწყვეტლივ ვითარდებოდა მეცნიერება რუმინეთში. პლენუმმა აღნიშნა ავრეთვე, რომ ნაკლოვანებებია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციასა და ორიენტაციაში.

პლენუმმა დაადგინა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტით გათვალისწინებული ტემპი და პროპორციები უზრუნველყოფენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ სწრაფ განვითარებას, წარმოების საშუალებათა წარმოების — მთელი ეკონომიკის პროგრესის ამ გადამწყვეტი დარგის უპირატეს ზრდას.

პლენუმმა 1966 წლის გეგმის უპირველეს ამოცანებად დასახა ტექნიკური პროგრესის ფართოდ დანერგვა, საწარმოს სიმძლავრეთა სრული გამოყენება.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ორიენტაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი და 1966 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინება დიდი ეროვნული კრების მომავალ სესიას.

პლენუმმა გადაწყვიტა აგრეთვე ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი. (საკდესი).

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ

ᲞᲠᲐᲰᲐ, 13 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება ჩეხოსლოვაკიაში, დღეს შეხვდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. დავიდს. გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

დღესვე დაიწყო ა. ა. გრომიკოსა და ვ. დავიდის შორის მოლაპარაკება.

ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

ᲯᲐᲜᲝ, 13 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე იმის შესახებ, რომ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო კანადის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის თავმჯდომარის ტიმ ბაკის მეთაურობით. ვიზიტის დროს, ხაზგასმულია კომუნიკეში, გაიმართა კანადის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის მოლაპარაკება. ვიეტნამის დელეგაციას მეთაურობდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი. კანადის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ დაგმო ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესია ვიეტნამში, მხარი დაუჭირა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოთხ პუნქტს და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოზიციას ვიეტნამის პრობლემის გადასაჭრელად.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ გულწრფელი მადლობა გადაუხადა კანადის კომპარტიას და კანადელ ხალხს იმისათვის, რომ ისინი მხარს უჭერენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლიან ომს. ორივე დელეგაციამ საჭიროდ მიიჩნია კვლავაც განავითაროს პარტიათა მეგობრული ურთიერთობა, შეთანხმებით იმოქმედონ ერთობლივ ბრძოლაში ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲚᲘ

Მ. ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘ

10 დეკემბერს სტოკჰოლმში საზეიმო ვითარებაში მოხდა ნობელის 1965 წლის პრემიების გადაცემა. თვალსაჩინო საზღვარგარეთელ მეცნიერებთან ერთად ნობელის პრემია მიიღო გამოჩენილმა საბჭოთა მწერალმა მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვმა, რომლის შემოქმედებამ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. საბჭოთა მწერლის ჩასვლა შვედეთში მთელი იქაური საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

ნობელის პრემიის გადაცემის შემდეგ მ. ა. შოლოხოვმა წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დაბეჭდილია 12 დეკემბრის „პრავდაში“.

ᲐᲛ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ კრებაზე ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა შვეციის სამეფო აკადემიას, რომელმაც ნობელის პრემია მომაკუთვნა.

მე უკვე მქონდა შესაძლებლობა საჯაროდ განმეცხადებინა, რომ ეს ჩემში იწვევს კმაყოფილების გრძნობას არა მარტო როგორც საერთაშორისო აღიარება ჩემი პროფესიული დამსახურებისა და თავისებურებებისა, რომლებიც მახასიათებს როგორც ლიტერატორს. ვამაყობ იმით, რომ ეს პრემია მიეკუთვნა რუს, საბჭოთა მწერალს. აქ მე ჩემი სამშობლოს მწერალთა დიდი რაზმის წარმომადგენელი ვარ.

მე უკვე გამოვთქვი კმაყოფილება აგრეთვე იმის გამო, რომ ეს პრემია რომანის ჟანრის კიდევ ერთი არაპირდაპირი დადასტურებაა. უკანასკნელ ხანს არაერთხელ მომისმენია და წამიკითხავს, სწორი რომ მოგახსენოთ, ჩემთვის განსაცვიფრებელი გამოსვლები, რომლებშიც რომანის ფორმას მოძველებულად, თანამედროვეობის მოთხოვნებისადმი შეუფერებლად აცხადებდნენ. ნამდვილად კი სწორედ რომანი იძლევა შესაძლებლობას ყველაზე სრულად აისახოს სინამდვილის სამყაროდ და ასახულზე პროექციით გამოიხატოს საკუთარი დამოკიდებულება ამ სინამდვილისადმი, მისი მწვავე პრობლემებისადმი, დამოკიდებულება საკუთარი თანამოაზრეებისა.

რომანი, ასე ვთქვათ, წინასწარ ყველაზე მეტად განგგაწყობს ჩვენი გარემომცველი უზარმაზარი ცხოვრების ღრმა შემეცნებისადმი და არა იმის ცდებისადმი, რომ ჩვენი პატარა „მე“ სამყაროს ცენტრად წარმოვადგინოთ. ეს ენერი თავისი ბუნებით რეალისტი ხელოვნებისათვის ყველაზე ვრცელ პლაცდარმს წარმოადგენს. ხელოვნების ბევრი ახალგაზრდა მიმდინარეობა უარყოფს რეალიზმს იმ მოსაზრებით, რომ მან თითქოს მოჭამა თავისი დრო. არ მეშინია იმისი, რომ ჟინსერვატიზმს დამწამებენ, და ვაცხადებ, რომ საპირისპირო შეხედულებებს ვემხრობი და რეალისტური ხელოვნების დარწმუნებული მომხრე ვარ.

ახლა ხშირად ლაპარაკობენ ეგრეთწოდებულ ლიტერატურულ ავანგარდზე და ამით გულისხმობენ უაღრესად მოდურ ცდებს უმთავრესად ფორმის დარგში. ჩემი შეხედულებით, ნამდვილ ავანგარდს წარმოადგენენ ის ხელოვნები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ჩვენი საუკუნის ცხოვრების ნიშნების განმსაზღვრელ ახალ შინაარსს გადაკვეთილან. მთლიანად რეალიზმიც და რეალისტური რომანიც წარსულის დიდი ოსტატების მსატვრულ გამოცდილებას ემყარება. მაგრამ თავის განვითარებაში რეალიზმსაც და რეალისტურმა რომანმაც არსებითად ახალი, ღრმა თანამედროვე ნიშნები შეიძინეს.

მე ვლაპარაკობ რეალიზმზე, რომელიც შეიცავს ცხოვრების განახლებას, ადამიანის საკეთილდღეოდ მისი გარდაქმნის იდეას. ვლაპარაკობ, ცხადია, ისეთ რეალიზმზე, რომელსაც ჩვენ ახლა სოციალისტურს ვუწოდებთ. მისი თავისებურება ის არის, რომ იგი გამოხატავს მსოფლმხედველობას, რომელიც არ ცნობს არც მჭვრეტელობას, არც სინამდვილისათვის თავის არიდებას, რომელიც მოუწოდებს კაცობრიობის პროგრესისათვის ბრძოლისაკენ, შეიაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნას მიღიონობით ადამიანთათვის მახლობელი მიზნები, გაუნათოს მათ ბრძოლის გზები.

კაცობრიობა დანაწევრებული როდი ერთეულთა, ინდივიდუმთა გროვად, რომელნიც თითქოს უწონობის მდგომარეობაში დაფარფატებენ დედამიწის მიზიდულობის ფარგლებს გაცილებულ კოსმოსგანთა მსგავსად. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე, ვემორჩილებით დედამიწის კანონებს, და, როგორც ნათქვამია სახარებაში, ჩვენი დღისათვის კმა არს მისი საზრუნაგი და მოთხოვნები, მისი იმედები უკეთესი ხვალინდელი დღისა. დედამიწის მოსახლეობის გიგანტური ფენები ამორავგებულნი არიან ერთიანი მისწრაფებებით, ცხოვრობენ საერთო ინტერესებით, რომლებიც გაცილებით უფრო მეტად აერთიანებენ მათ, ვიდრე თიშავენ.

ესენი არიან შრომის ადამიანები, ისინი, ვინც თავისი ხელებითა და ტვინით ქმნის ყველაფერს. მე ვეკუთვნი იმ მწერალთა რიცხვს, რომლებსაც თავიანთთვის უმაღლეს ღირსებად და უმაღლეს თავისუფლებად მიაჩნიათ იმის სრულიად შეუზღუდავი შესაძლებლობა, რომ თავიანთი კალმით ემსახურონ მშრომელ ხალხს.

აქედან წარმოსდგება ყველაფერი. აქედან გამომდინარეობს დასკვნები იმაზე, თუ როგორ წარმოჩიდგენია მე, როგორც საბჭოთა მწერალს, ხელოვნის ადგილი თანამედროვე სამყაროში.

ჩვენ შუოთიან წლებში ვიცხოვრობთ. მაგრამ დედამიწაზე [illegible] ომი უნდოდეს. [illegible] მთელ ხალხებს [illegible] ომის ცეცხლი. [illegible] ნა შეიძლებ[illegible] ... [illegible] ... [illegible] ... [

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ჩვენი სტუმრები

ამერიკელ ქალთა დელეგაცია საქართველოში

12 დეკემბერს საქართველოში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ორგანიზაციის დელეგაცია. მანამდე დელეგაცია იყო მოსკოვსა და ლენინგრადში.

ოთხი ამერიკელი ქალი — კონექტიკუტის შტატის მცხოვრები დორის სვოლოუ, ფლორიდის შტატის მცხოვრები ივა ზიგელი, ნიუ-იორკის შტატის მცხოვრებლები სილვია ფინკი და ელის ალისა მილერი — მოსკოვში ჩავიდნენ მას შემდეგ, რაც 27 ნოემბერს გაიმართა ვაშინგტონის მასობრივი ლაშქრობა — „მშვიდობისათვის ვიეტნამში", რომლის მომზადებაში მათ დიდი როლი შეასრულეს.

საქართველოს დედაქალაქში ყოფნის პირველ დღეს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს, „მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ორგანიზაციის" აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (კონექტიკუტის შტატი) დორის სვოლოუ ეცნობოდა თბილისის ღირსშესანიშნაობებს.

გუშინ, 13 დეკემბერს, ნაშუადღევს სტუმრები ეწვივნენ კომუნისტური შრომის საწარმოს — თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას. შემდეგ ისინი გაემგზავრნენ მცხეთაში, სადაც საქართველოს უძველესი დედაქალაქის წარმტაცი ადგილები და არქიტექტურის ძეგლები დაათვალიერეს.

საღამოს ამერიკელ ქალთა დელეგაცია მატარებლით გაემგზავრა ბათუმში, სადაც განაგრძობს საქართველოს გაცნობას.

13 დეკემბერს დილით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების „მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ორგანიზაციის" დელეგაცია.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ა. სალუქვაძე, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გიგაშვილი, განათლების მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ე. ვ. ღლონტი, ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ე. დ. ჩოფიკაშვილი, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მინისტრის მოადგილე ე. ი. დუდჩენკო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშრომელთა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თ. კ. ქუთათელაძე, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ა. ქვანია, ხელოვნებათმცოდნე ნ. ნ. შალუტაშვილი და სსრ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი ნ. ვ. ხმაჩი, რომელიც ახლავს დელეგაციას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

— ქართველი ქალი მთელი ისტორიის მანძილზე იყო არა მარტო დიასახლისი, არამედ ხშირად ხელში აღებია იარაღი უცხოელ დამპყრობთა შემოსევების დროს, — თქვა ვ. მ. სირაძემ, — და როგორც ამის სიმბოლო თბილისს გადმოპყურებს ქალის ქანდაკება, რომელსაც ცალ ხელში უჭირავს ღვინიანი თასი მეგობრებისათვის, მეორეში კი — მახვილი.

ამერიკელმა ქალებმა დორის სვოლოუმ, ივა ზიგელმა, სილვია ფინკმა, ელის ალისა მილერმა შეიტყვეს, თუ როგორ ვითარდება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, რა დიდ მონაწილეობას იღებენ ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებისა და სახალხო მეურნეობაში.

„მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ორგანიზაციის" აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა (კონექტიკუტის შტატი) დორის სვოლოუმ ილაპარაკა იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებს ის ორგანიზაცია ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის ბრძოლაში.

— ჩვენი ამოცანაა, — თქვა მან, — მოვაწყოთ საპროტესტო დემონსტრაციები ამერიკის მთავრობის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ. ვაშინგტონის დემონსტრაციის მაგალითით გიამბობთ ჩვენი საქმიანობის შესახებ.

გზად ვაშინგტონისაკენ და თეთრი სახლის პიკეტირების დროს „მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ორგანიზაციის" წევრები, რომელთაგან ბევრი ბავშვებიანად ჩამოვიდა, ავრცელებდნენ ლამაზ ცისფერ საშობაო ღია ბარათებს, რომლებზეც გამოსახული იყო მტრედი და ეწერა „მშვიდობა". შიგ იყო წერილი პრეზიდენტ ჯონსონისადმი, რომელიც შეიცავდა მოწოდებას შეწყვიტონ ვიეტნამის ომი და დაბრუნონ შინ ამერიკის ჯარები. ორგანიზაციის წევრები სთხოვდნენ ყველას ხელი მოეწერათ ღია ბარათებზე, ეხსნიდნენ, რომ ამ ბარათებს წაიღებენ თეთრ სახლში. ქალები აგრეთვე არიგებდნენ ბროშურებს, რომლებშიც აღნიშნული იყო, თუ რამდენ დოლარს ახმარს ყოველწლიურად ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამის ომს.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, — თქვა დასასრულ დორის სვოლოუმ, — რომ თუ ვიეტნამის ომი გაფართოვდება, მაშინ უფრო მძლავრი გახდება საპროტესტო მოძრაობა აგრესიის წინააღმდეგ. (საქდესი).

ვანის მუზეუმში

ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს.

აქ გაეცნობი კუთხის შორეულ წარსულსა და დღევანდელ დღეს. ისტორიული ექსპონატები მართლაც ბევრია. უკანასკნელ ხანებში არქეოლოგებმა მნიშვნელოვანი ძეგლები აღმოაჩინეს ახალდიანების ცნობილ გორაზე.

მუზეუმში წარმოდგენილია ქვის ხანისა და ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ექსპონატები, რომლებიც მოწმობენ ძველად ამ მიდამოებში დასახლებული ადამიანების მაღალ კულტურას.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ამსახველი სტენდი მოგვითხრობს გლეხთა გამოსვლებზე, აქვეა იმ რევოლუციონერთა პორტრეტები, რომლებიც წითელ დროშით ხელში გამოვიდნენ და სოციალისტური რევოლუციისათვის იბრძოდნენ. აქ ნახავთ პირველი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების ინიციატორთა პორტრეტებს.

სპეციალური კუთხე აქვს მიძღვნილი დიდ სამამულო ომში რაიონის შვილთა მონაწილეობას და ადამიანებს, რომლებიც აქ დაიბადნენ, ხოლო დღეს ყველასათვის ცნობილი არიან მეცნიერებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგში. გაეცნობით შრომის მოწინავეებს, წარჩინებულებს — მაღალი მოსავლის ოსტატებს, შრომის გმირებს. (საკ. კორ.).

„საქართველოს აგიტატორი" № 23

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, ოცდამესამე ნომერი.

ეს გოგონები არაფრით არ გამოირჩევიან თავიანთი თანაკლასელებისაგან. მათი სახელი კი კარგად არის ცნობილი საჩხერის რაიონში, როგორც წიგნის მსურველი პროპაგანდისტებისა.

საჩხერის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებს, კომკავშირელებს ლილი ფალავანდიშვილს, ნათელა ტეფნაძესა და ნინო ქამუშაძეს პატარაობიდანვე შეუყვარდათ წიგნი. ყოველ მაგგანს საუკეთესო პირადი ბიბლიოთეკა აქვს, რომელსაც სისტემატურად ამდიდრებენ საბჭოთა მწერლების ახალი ნაწარმოებებით, ქართული, რუსული და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებთა ახალი გამოცემებით.

მაგრამ თანასოფლელთა სიყვარული კომკავშირელმა გოგონებმა იმით დაიმსახურეს, რომ ისინი დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს ლიტერატურის შერჩევა-შეძენაში.

ახლახან რაიონში მოეწყო წიგნის ერთთვიური. ნორჩმა პროპაგანდისტებმა გაასაღეს რამდენიმე ასეული მანეთის ლიტერატურა. პირველი სკოლის კომკავშირელთა აქტიური მონაწილეობა წიგნის ერთთვიურში აღინიშნა საქართველოს ალკაკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას ჯილდოდ პიანინო გადაეცა.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ლ. ფალავანდიშვილი, ნ. ტეფნაძე და ნ. ქამუშაძე ახალი წიგნებით დატვირთულნი ბრენდებიან წიგნის მაღაზიიდან.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქვლის ქსოვილის ახალი სიცოცხლე

საბჭოთა მეცნიერების ჯგუფმა ძვლის პლასტიკურ ქირურგიაში გამოიყენა შემთხვევითი მიზეზებით გარდაცვლილი ადამიანებისაგან აღებული ძვლის დაკონსერვებული ქსოვილი.

აი რას მოგვითხრობს ამაზე ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი მსტისლავ ვოლკოვი.

ძვლის იმ დეფექტის გამოსასწორებლად, რომელიც წარმოშობილი იყო ტრავმის, სიმსივნის ან ანთებითი პროცესის შემდეგ, ქირურგები ახდენდნენ სხვა, ხალი კიდურიდან აღებული ძვლის გადანერგვას. მაგრამ ეს, ეგრეთწოდებული აუტოპლასტიკა ოპერაციას ახანგრძლივებდა, ავადმყოფს დამატებით ტრავმას აყენებდა, საფრთხეში აგდებდა ხალ კიდურს.

და აი რამდენიმე წლის წინათ კუბის, საფრანგეთის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის მედიკებმა ერთდროულად დაიწყეს ძვლის ქსოვილის კონსერვაციის პრობლემის გადაჭრა.

ახლა დაკონსერვებული ძვლების გადანერგვის მეთოდს მოსკოვის, კიევისა და ლენინგრადის, ხარკოვისა და დონის როსტოვის ბევრ სამედიცინო დაწესებულებაში იყენებენ.

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალურ ინსტიტუტში გაკეთებულია უკვე ათას ხუთასზე მეტი ძვალ-პლასტიკური ოპერაცია, ამასთან დეფექტებს ცვლიდნენ დაკონსერვებული ძვლებით. ძვლის ქსოვილის დაკონსერვება ხდება ძირითადად სიცივით დღეღამის განმავლობაში მინუს 70 გრადუს ტემპერატურაზე. შემდეგ კი იგი მრავალი თვის განმავლობაში მინუს 20 გრადუსზე ინახება.

მაგრამ ჩვენ კონსერვაციის სხვა მეთოდებსაც ვიმუშავებთ: პლასტიკურ მასებში, თხევად არეებში და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, წარმატებას ერთბაშად როდი მივაღწიეთ. თავდაპირველად საკმაოდ პრიმიტიულ ოპერაციებს ვაკეთებდით, ახლა კი პლასტიკას ვახორციელებთ, როცა არ არის ნახევარი ძვალი და სახსრის ბოლო, რომელიც დაავადებულია, მაგალითად, სიმსივნით. თანდათანობით გადავდივართ მთელი სახსრების გადანერგვაზეც.

მეცნიერთა ჯგუფი ახლა ექსპერიმენტებს აკეთებს ცხოველებზე; პირველი კლინიკური შედეგებიც არის. მივიღეთ ძვალ-პლასტიკური ოპერაციების უკვე ათი წლის შედეგები. ეს შედეგები დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. მეთოდის ძირითადი აზრი ის არის, რომ იგი მნიშვნელოვნად ზრდის ქირურგის შესაძლებლობებს, მკვეთრად ამცირებს ინვალიდობას.

აი ერთ-ერთი მაგალითი! ჩვენთან საკმაოდ ხშირად მოჰყავთ ავადმყოფები, რომლებსაც დაავადებული აქვთ კიდურების ცენტრალური განყოფილება, ვთქვათ, თეძოს ან მხარის არეში. ქირურგს ძალიან უჭირს გადაწყვეტოს ამპუტაცია, როცა კიდურის პერიფერიული განყოფილებები საღია. ახლა ჩვენ დაკარგულ თუ დაავადებულ ნაწილს ჰომოძვლით ვცვლით და ამით ავადმყოფს ხელსა თუ ფეხს ვუნარჩუნებთ.

უცხოელი მეცნიერები, რომლებიც ჩვენში ორთოპედიის შესასწავლად ჩამოდიან, პირველ რიგში ინტერესს იჩენენ ამ მეთოდის მიმართ, იმიტომ რომ სხვა ქვეყნებში იგი ჯერჯერობით ფართოდ არ გავრცელებულა.

ჩვენს მიღწევებს საიდუმლოდ როდი ვინახავთ, ვინაიდან მოგვიჩნია, რომ მედიკებს შორის, რომლებიც ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის იბრძვიან, არ შეიძლება საიდუმლოება იყოს. ჩვენი საბოლოო მიზანი ხომ ის არის, რომ ადამიანები დაავადებებისაგან ვიხსნათ.

მიმდინარე წლის დამდეგს ფინეთში — ჰელსინკის უნივერსიტეტში წაკითხულ იქნა ლექცია „საბჭოთა ორთოპედიის მიღწევები ჰომოპლასტიკის საკითხებში". ასეთივე ინფორმაციები გაკეთებულ იქნა პარიზში, ვენასა და სხვა ქალაქებში.

მეცნიერება და პრაქტიკა

საქართველოს აღვოკატთა პირველი კონფერენცია

ამ დღეებში თბილისის მასწავლებლის სახლში გაიმართა რესპუბლიკის ადვოკატთა პირველი კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარის ა. პაიკაძის მოხსენება კოლეგიის მუშაობის შესახებ.

მოხსენება სარეგიონო კომისიის მუშაობის შესახებ და ფინანსური ანგარიშგება გააკეთეს ა. მიქაძემ და გ. მირზელაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ, ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატმა ბ. ბარათაშვილმა, რუსთავის იურიდიული კონსულტაციის გამგემ დ. დგებუაძემ, ზუგდიდის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგემ ა. დარსანიამ და სხვ.

ახალი დებულება ადვოკატთა შრომის ანაზღაურების შესახებ დამსწრეთ გააცნო რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. დავითაია.

შემდეგ გაიმართა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევნები. კოლეგიის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ა. პაიკაძე, მოადგილედ ნ. დავითაია. (საქდესი).

ფრეტენდენტები

ბელგია, 13 დეკემბერი. (საქდესი). ჩვენი ქვეყნის მოჭიდაკეა ქალთა ჩემპიონატის მე-17 ტურის შემდეგ სულ ცოტა ექვს მონაწილეს შეუძლია საპრიზო ადგილის დაკავება. **რანიკუმ** დაამარცხა **ელენე ტუბოცვა. ზატულოვსკაიამ** მოუგო **ივანოვას.** ეს მისი ზედიზედ მეოთხე მოგებაა. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა **სეეგინამაც,** რომელმაც დაამარცხა **კოლოტი.** სამაგიეროდ ჩემპიონატის ლიდერი **კოზლოვსკაია,** როგორც ჩანს, შეფერხდა — გადადებულ პარტიაში ბორისენკოსთან მას მოგების შანსები არა აქვს. **ზეორიკინამ** დაამარცხა **მიხაილოვა, ბელავენეც-გოლოვეის** შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

დღეს გაიმართა მე-18 ტური. **ზატულოვსკაიამ** მოუგო **გოლოვეის, რანიკუმ** — **ი. რუბცოვას.** უკანასკნელი ტურის წინ ლიდერები არიან **ზატულოვსკაია** და **რანიკუ,** რომლებსაც 12-12 ქულა აქვთ.

წარმატება მერვედფინალში

ლაიპციგი, 13 დეკემბერი. (საქდესი). არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის კალათბურთელთა სტარტი ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში წარმატებით დაგვირგვინდა. კვირას მოსკოველებმა ანგარიშით 87:66 (38:34) დაამარცხეს ადგილობრივი კლუბი „ფორვერტსი". სპასუხო შეხვედრა 18 დეკემბერს გაიმართება მოსკოვში.

საგუნოთა ფეხბურთელები საზღვარგარეთ

პირველი მატჩი აფრიკის ცენტრალურ რესპუბლიკაში გამართა ლენინგრადის „ზენიტმა". ჭ. ბანგში ლენინგრადელებს პაექრობა ჰქონდათ ამ ქვეყნის მეორე ნაკრებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1.

ლუგანსკის „ზარიას" ფეხბურთელებს მესამე მატჩი იტალიაში ჰქონდათ რეჯო დი კალაბრიას ნაკრებთან და შეხვედრა ფრედ (0:0) დაამთავრეს.

ცეილონში მინსკის დინამოელები შეხვდნენ ცეილონის ფეხბურთის ფედერაციის გუნდს, რომელიც დაკომპლექტებული იყო ოლიმპიური და ეროვნული ნაკრებების მოთამაშეებით. გაიმარჯვეს მინსკელებმა 5:1.

სპორტული ქრონიკა

☐ **ტაშკენტში** დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ასუჯრედიან მაშში ვაჟთათვის. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა რიგელი საერთაშორისო ოსტატი ანდრეის ანდრეშკინ, რომელმაც ჩემპიონობა მოიპოვა.

☐ **შენაში** გაიმართა ახალგაზრდა მოცეგურავეთა საერთაშორისო ტურნირი ფიგურული ციგურაობაში. გოგონთა შორის ყველაზე უკეთესად გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი ე. შჩეგლოვა. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა პოლონელმა ზ. პენკოშსკიმ.

☐ **ბასულ** კვირაოდეს თბილისის „ბურევესტნიკის" დარბაზში დამთავრდა სომხეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გუნდების ამხანაგური შეხვედრა ფხაკრულ ტანვარჯიშში. ამ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ი. სპასენიძე და ბ. შალიკიანი, რომლებმაც სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს.

ჩოგბურთელთა ტურნირზე

საორტული სეზონის მიწურულში ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ჩოგბურთელებს მოსკოვში პაექრობა ჰქონდათ ცნობილი საბჭოთა ჩოგბურთელის **ზ. ზიგმუნდის ხსოვნის** პირველი პრიზისათვის.

გასულ კვირაოდეს შედგა ფინალური შეხვედრები. მთავარი პრიზი გათამაშდა ვაჟთა წყვილებისათვის. აქ თავი ისახელეს ძმებმა **ვიაჩესლავ** და **ვლადიმერ ეგოროვებმა,** რომლებმაც დაამარცხეს **ი. იუშკა** და **ი. ხოხლოვი** ანგარიშით 6:4, 6:4, 3:6, 6:4. ქალთა წყვილებში უძლიერესები იყვნენ **ტ. ჩალკო** და **მ. ჩუვირინა,** რომლებმაც მოუგეს **მ. პრეობრაჟენსკაიასა** და **მ. კულს** 1:6, 6:4, 6:4. შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს **ვ. ფილიპოვამ** და **ს. მირზამ.**

ბრაზილიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდო

ბრაზილია, 13 დეკემბერი. (ტასსი). ბრაზილიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდო ამ ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჟურნალისტ ალბერტ ბეგეგეს ბრაზილიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდო ამ ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჟურნალისტ ალბერტ ბეგეგეს ბრაზილიელ ჟურნალისტთა ასოციაციის ჯილდო ამ ასოციაციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჟურნალისტ ალბერტ ბეგეგეს

გმირობა

ოცდახუთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ავთანდილ ხაბურზანია არმიაში გაიწვიეს, მაგრამ მაინც კარგად ახსოვს ის დღე. თოვდა. ფიფქები თეთრი პეპლებივით ირწეოდა ჰაერში და მიდამოს ქათქათა სამოსელში ხვევდა. გადათოვლილ ბარდნარში შაშვები ჭახჭახით დაძვრებოდნენ...

ჭიშკართან ფოსტალიონმა დაიძახა, ავთანდილი მყისვე გამოეხმაურა და მაცნე შინ შეიპატიჟა. მაგრამ სტუმარი უარზე იყო. მერე ტყავის შეთხეულებულ ჩანთაში ხელი ჩაიყო და ჭაბუკს არმიაში გაწვევის უწყება ჩააბარა...

უშაფთელ ჭაბუკს არ სწყენია არმიაში წასვლა—მრავალ უცხო მხარეს, ქალაქსა თუ სოფელს ვნახავო, გაიფიქრა. მართლაც ასე მოხდა: ვიდრე კამენეც-პოდოლსკის ოლქში ჩავიდოდა, ბევრი რამ საგულისხმო და საინტერესო შეხვდა. მაგრამ დიდხანს რ.ოდი გაგრძელდა სიამოვნება. ცაზე ომის ფიცი ღრუბლები ჩამოწვა. ავთანდილმა პირველი საბრძოლო ნათლობა უკრაინის ტერიტორიაზე მიიღო. ბევრი ბრძოლა გადაიტანა ავთანდილ ხაბურზანიამ, მრავალ მტერს დაუბნელა თვალები. მდინარე ტისაზე გადასვლისას ბრძოლაში მედალი „მამაცობისათვის" დაიმსახურა. შემდეგ მარშალ რ. მალინოვსკის ჯარებში ბრძოლით განვლო რუმინეთი, მიიწევდა ბუდაპეშტისაკენ.

ბრძოლა ქალაქის მისადგომებთან მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა — ყუმბარის ნამსხვრევებმა ორივე ფეხი მძიმედ დაუზიანა. პირველი ამპუტაცია საკმარისი არ აღმოჩნდა. ისევ ჰოსპიტალ, კვლავ ქირურგის სკალპელი...

სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ავთანდილ ხაბურზანიას სიცოცხლე სწყეროდა. მისი ხერვება მაგარი გამოდგა, და სიკვდილაც უკან დაიხია. სოჭის ჰოსპიტალში მისი მოვლა ეკისრა ექიმის თანაშემწეს მარიამ ტალანოვამ. ამ უკანასკნელმა ჩამოიყვანა ქართველი ვაჟკაცი თავის მშობლიურ სოფელ უშაფათში.

ამ ადამიანში მეტად მაღალი სული აღმოჩნდა. იგი არ შეეპუა ბედის უკუღმართობას. ერთ დღეს ყაბარდოელი ახალგაზრდა სახალხო განათლების განყოფილებაში შევიდა.

ეს იყო 1945 წლის მიწურული. ასე გაჩდა ყოფილი მეომარი მოზარდი თაობას აღზრდელი. 20 წელია მას შემდეგ...

ქალაქ ცხაკაიას პირველ საშუალო სკოლაში ყველას უყვარს ეს თავმდაბალი, უწყინარი კაცი. ავთანდილ მასწავლებელს მოსწავლეები გულდასმით უსმენენ.

ოთხი შვილი გააცალა ფრონტზე ავთანდილის მამამ — გრიგორ ხაბურზანიამ. ორმა სამუდამოდ დაბუჟა თვალი შორეულ მიწაზე, ორი კი დასახიჩრებული დაბრუნდა, უფრო მძიმედ — ავთანდილი.

წარმოიდგინე, მკითხველო, რაინდული სული ამ კაცისა, რომელსაც ორი ძმა ომში მოუკლეს, ერთი დაუჭრეს, უფრო სწორად — დაუსახიჩრეს, თვითონ ორივე ფეხი დაკარგა... მაგრამ მაინც არ დაემნა ხვედრს, თითქოს უკვდავებამ შთაბერა ძლევამოსილების სული, გამარჯვებულმა იარე მშობელ მიწაზე და სიკეთე თესეო...

როცა ფოლადზე ჩამოვარდება ლაპარაკი, იმ წამს წარმოვიდგენთ წკრიალა ლითონს. თურმე ადამიანიც შეიძლება იყოს ფოლადისებრი სიმტკიცისა. ამა სხვა რას უნდა შევადაროთ სიმტკიცე ამ ადამიანისა, რომლის ბრძოლა და ცხოვრება მარად გაუხუნარი მაგალითია ახალგაზრდებისათვის.

ბ. მილიუტინი.

• • •

სურათზე: ა. ხაბურზანია.

ფრთიანი კატარღები ღუნაიზე

ბათუმი. (საქდესი). ავსტრია მეთვრამეტე ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირში იძენს წყალქვეშა ფრთიან სასეირნო კატარღებს. მომავალ წელს გემთსაშენებელ „შიფსვერფტის" შეკვეთებით ბათუმის გემთსაშენებელ ქარხანაში 15 გემს ააგებენ.

კატარღა, რომელიც ხუთი მგზავრისათვისაა გათვალისწინებული, გარეგნულად არ გამოირჩევა ჩვეულებრივი გლეხერისაგან. იგი წყლის ზედაპირზე საათში 70 კილომეტრამდე სიჩქარით მისრიალებს.

ბათუმის გემთსაშენებელ ქარხანას შეკვეთებს აძლევენ ინგლისი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, ბრაზილია, არგენტინა.

განიხილავენ ბიზანტიის კულტურისა და იდეოლოგიის პროგლემას

13 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში მუშაობა დაიწყო ბიზანტოლოგთა VII სრულიად საკავშირო კონფერენციამ, რომელიც მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებამ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ. კონფერენციაზე თბილისში იმიტომ მოიწვიეს, რომ საქართველოს დედაქალაქი ბიზანტოლოგიის ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია ჩვენს ქვეყანაში.

კონფერენციაში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ბაკოს, ერევნის, სვერდლოვსკის, ეროსონის, სევასტოპოლის, სოხუმისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების ასზე მეტი მეცნიერი. მათ შორის არიან თვალსაჩინო ისტორიკოსები — აკადემიკოსი ბ. რიბაკოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ნ. პიგულევსკაია და შ. ამირანაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გ. წერეთელი, გ. ჩუბინაშვილი შ. ნუცუბიძე, პროფესორი ე. ლიპშიცი, მ. სიუზიუმოვი, ზ. უდალცოვა, რ. პუსეინოვი, ა. გალსტიანი და სხვები.

კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს ბიზანტიის ისტორიისა და სამართლის ისტორიის, საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურათმცოდნეობის, ხელოვნების, არქეოლოგიისა და არქიტექტურის, აგრეთვე ფილოლოგიისა და დამხმარე დისციპლინათა ისტორიის სექციებში.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა მ. ჩუბინაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქრისტიანული ტაძრის საწყისი ფორმების საკითხისათვის". „რუსულ-ბიზანტიური ქალაქი ტმუტარაკანი" — ამ თემას მიუძღვნა გამოსვლა აკადემიკოსმა ბ. რიბაკოვმა.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტოლოგიის განყოფილების გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა საქართველოს საბჭოთა მეცნიერების ბიზანტოლოგიის ინსტიტუტის ბიზანტოლოგიის განყოფილების გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა საქართველოს საბჭოთა მეცნიერების ბიზანტოლოგიის ინსტიტუტის ბიზანტოლოგიის განყოფილების გამგემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ყაუხჩიშვილმა

მეცნიერება და პრაქტიკა

... ...

... ...

... ...